შეთანხმების ოქმი #2

ქ. თბილისი

9 მარტი 2016 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“ (შემდგომში - შემსყიდველი), მისი დირექტორის თემურ თორდინავას სახით და მეორეს მხრივ, შპს „არტსტუდიო-პროექტი“ (შემდგომში - მიმწოდებელი), მისი დირექტორის ირენე სკალვინის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოშ მოქმედი კანონმდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1. შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის 2015 წლის 25 ივნისს გაფრმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (#02/50/56) შესაბამისად შპს „არტსტუდიო-პროექტი“-ს მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინჟინრო-საპროექტო მომსახურება უნდა დაესრულებინა 2015 წლის 22 სექტემბრის ჩათვლით. მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დაასრულა 140 დღის დაგვიანებით, კერძოდ 2016 წლის 9 თებერვალს.
2. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 9.1 პუნქტის შესაბამისად „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა 8820 (რვაათას რვაას ოცი) ლარის ოდენობით.
3. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: სახელმწიფო ხაზინა

მიმღები ბანკი, ბანკის კოდი: TRESGE22

სახაზინო კოდი: 300773287 - შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან.

4. „მიმწოდებელმა“ აღნიშნული თანხის გადახდა უნდა უზრუნველყოს შეთანხმების ოქმის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.
5. შეთანხმების აქტი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან თითო ეგზემპლიარი გადაეცემა „შემსყიდველს“ და „მიმწოდებელს“.

საფუძველი: შპს „არტსტუდიო-პროექტი“-ს 2016 წლის 9 თებერვლის #09/02/2016 წერილი.

2. შეთანხმების მოქმედების ვადა

2.1. წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მასზე ხელის მოწერის დღიდან.

2.2. შეთანხმების ოქმი წარმოადგენს 2015 წლის 25 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #02/50/56 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

2.3. ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

3. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“	შპს „არტსტუდიო-პროექტი“
ს/კ 404905475	ს/კ 204489393
---	---
თემურ თორდანავა	ირენე სკალოვინი
სააგენტოს დირექტორი	დირექტორი